



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 81

2017 წლის 26 ივნისი

ქ. თბილისი
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2017 წლის
საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების
შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5
მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას (N738144, 26.06.2017) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწესდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2017 წლის
საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის;
2. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს
დაწესებისა და 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის
კონკურსის გამართვის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის
საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსში მონაწილეობის
განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს მეცნიერის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი
N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს განმცხადებლის/ჯილდოს კანდიდატის მიერ დარგში გაწეული
სამეცნიერო კარიერის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე წინამდებარე ბრძანების
ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
7. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.
თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2017 წლის
საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში ფონდი) აწესებს ჯილდოს მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის.
2. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე გაწეული განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.
3. ჯილდო მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის გაიცემა ერთჯერადად, კონკურსის წესით.
4. ჯილდო გაიცემა 6 კატეგორიის მიხედვით ფონდის სამეცნიერო კლასიფიკატორის (იგივე EUROSTAT/OECD კლასიფიკატორის) მიმართულებებიდან:
 - ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;
 - გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
 - დ) აგრარული მეცნიერებები;
 - ე) სოციალური მეცნიერებები;
 - ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები;
 - ზ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.
5. თითოეულ კატეგორიაში გაიცემა მხოლოდ ერთი ჯილდო.

მუხლი 2. კონკურსის ჯილდოების კატეგორიები

- 1 კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი ჯილდოთი მეცნიერის/კვლევითი ჯგუფის დაჯილდოებას.

წლის კონკურსში ფონდის ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში:

1. ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი;
2. საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი;